შევიდეს შემდეგი ცვლილებები „ს(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფოუნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დებულებაში:

1. დებულების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დებულება“.

2. პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში – „უნივერსიტეტი“) საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი (შემდგომში - „დეპარტამენტი“) წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულს.